

ჩვენი მწერლობა



გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

13 მაისი 2011 №10(140)

1516
2011



როდღა დალის მოთხრობა
კარლ იასპერსის გირკეცორზე
გოგი ჩაგელიშვილის ნოველა
ნინო ბაქანიძის მინიატურები
გიზო ზარნაძე ჯანსუღ ჩარკვიანზე
გია ჯოხაძის საუბარი ლინ კოფინთან
ზურაბ ნიჭარაძე გიორგი შენგელაიზე
სალომე კაპანაძე გურამ ჯეტრიაშვილზე
იაკობ გოგებაშვილის გზა მაცხოვრის გზა
როგორ ვკითხულობთ ალექსანდრე ყაზბეგს
ქურქიან ჯინორია და პოეზიის დღესასწაული

SONYARTIST

წიგნის თარო



ამაღწი
ვაჟა-ფშაველას

თბილისი 2010

მატიცინ ვალაშვილი




შეყვარებული
კაცი



ღირსოფა და ფრიდონის მღვდელმთავარი

კონსტანტინე
საქაყალაშვილის

მეტონინსა



ელის კავუტი



ჰემოქალი

მ. ინეუ ენ ჰემოქალი
მ. ჰემოქალი ინეუ თინაშაშვილი





შინაარსი

საღამო საღამოე გასაგონი	2	იოსებ ქუმბურიძე ძალთა ძალა და საზრდოევაბი (ფიქრები მურმან ჯინორიას მონოსკექტაკლის გამო)
როგორ მიიხილავთ ქალისას	4	ზურაბ ლავრელაშვილი წაზებები — კლაგინატორი და პიროგონი?
მსახრე-ინტერვიუ	8	ზურაბ ცინცქილაძე „მასსა და პარაგონ“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	9	გოგი ჩაგელიშვილი რადღე მონღა...
	12	ნინო ბაქანიძე ჩემი სულის მანიფესტი
ეპიგრაფი	13	ნოშრევან არაბული არც ფიქრს მოუქლავს ქაიცი
პოეზია	14	ლია სტურუა ბრამბტიკული საგონთა და სხვა ლექსები
ანთობია	16	კარლ იასპერსი რეფერატი ქირკვირუა
უსრულთა თვალთ	19	„საძარტველს გადაგრძინე მისი აოზონია...“ (ლინ კოფინს ესაუბრებდა გია ჯობაძე)
ლიტერატ	23	მარი ნიკლაური გომებაპვილის გზა — ძრისტას გზაა (იკობ გოგებაშვილის საზოგადოებისა და გამოცემლობა „დედა-ენის“ შესახებ)
პოეტრეაბთა სიძირი	27	გიზო ზარნაძე ჩემი სხელქვანი „ქვისლი“ (ცოტა რამ ჯანსულ ჩარკვიანზე)
წათხი და წლავი	32	როსტომ ჩხეიძე და შამისა მე პარ იედი (ბონაპარტისტული ჩანანერები)
რეპორაჟი	40	ელენე ამაღლოვი როცა თიქთი ნანთივს (მეხვედრა სოფიო კუქავასთან)
დღიურის ფარდავადე	43	ეთერ ბერიაშვილი „ნიმნი ქი პარა — შრქულა ხარ...“ (გოგი ოჩიაურის „არხოტის“ გამო)
პერსონაი პერბრეაბთათ	44	ზურაბ ნიფარძე უმაღლანი მიზინსაკან მისნარაფაული (გიორგი შენგელია)
ქირიკია	52	სალომე კვანაძე სიქათის ანბალქოთა ფარფატი (გურამ პეტრიიაშვილის „სასნაულენი პატარა ქალაქში“ გამო)
	54	ივანე ამირხანაშვილი იღვა და სინამდეილე (ირაკლი ჯავახიძის მოთხრობები)
ლიბრატორული სარაგვა	55	თეკლე ჯანელიძე რეი კულტურის ქიდე პრთი შუაგავალი
უსრორი ნევადა	56	როსლდ დალი მისის ბიქსტი და პოლქოვნიქის ნანუქარი ქურქი
პოეზია	63	ქაიცი — რჩული განგავისა

ორკვირული ფურნალი
 დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 წუბინაშვილის №41
 რედაქცია - (995 32) 96_20_62
 რეკლამა - (995 93) 65_93_68
 გაერცელება - (995 77) 11_24_30
 ფაქსი: (995 32) 96_20_62
 E_mail: info@mtserloba.ge

მიავარი რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე
 პროზის რედაქტორი - ივანე ამირხანაშვილი
 პოეზიის რედაქტორი - შაკა ჯობაძე
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი - თამაზ ნატროშვილი
 მხატვრული რედაქტორი - კარლ ფაშულია დიზაინერი - მალხაზ იაშვილი
 სტოლასტ-კორექტორი - ნინო დეკანოიძე დაკაბადონება - თენგიზ რობიტაშვილი
 ოპერატორი - თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი - ეკა ზუჯიაშვილი
 გაერცელების სამსახური - ლევან კიკნაძე
 გარეკანზე: ნაპოლეონი სენ ბერნარის ულტრეტიზზე
 მხატვარი ეაკლი დავიდი



გაერცელება საქონლი „ქვისლი“
 სარედაქციო, მისამართი, სარედაქციო 17
 გორქოვსკაი - 995 12 53 0162

PRINTED BY "MAGICA TEE" PRINT HOUSE
 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJEVSKI STREET
 TELEPHONE - 995 12 53 0162

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 27 მაისს



იოსებ ჭუმბურიძე

კალთა კალა და საზრდოება

*

ფიქრები მუშაზე ჯიწრობას მონოსაქტაკლის გავი

«ცოტაც გვაცალეთ და სულ მალე თბილისში სტუმრად ჩამოსული პაპუასი მწერალი რომ იკითხავს, ქართველებს პოეზია უყვართ თუ არაო, უსათუოდ უარყოფით პასუხს მიიღებს». — შემძრა სამი წლის წინათ თამაზ ნატროშვილის ამ ფრაზამ, სიმწარით ილიასეთელ სიმართლეს რომ ედარება.

ამ სიტყვებით დაამთავრა მან მომცრო ეტიუდი («ჩვენი მწერლობა», №2, 2008), რომელიც სულ სხვა ხალხს ეხებოდა და ასე ერქვა: «უყვართ თუ არა ამერიკელებს პოეზია».

გასაგებია: ჩვენ ჩვენი ვიცირით.

ბატონი თამაზი, რა თქმა უნდა, უცდომლად ფიქრობს, რომ საქმე სატროლად გადაქვს, მაგრამ მაინც მინდა, დაეამაფიფო და ვუთხრა: მთლად უიმედოდაც არ უნდა ვიყოთ.

ვიცი, მისნაირ ღრმად განსწავლულებს (და ამის გამოც, ღრმად სექსპტიკოსებს) უსაბუთოდ ვერ დაამყვებდ.

და მიზარია, რომ მაქვს საბუთი: რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა. მუდმივი ანშლაგი, როცა მურმან ჯიწრობა ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებზე აგებულ მონოსაქტაკლს წარმოადგენს.

რა იზიდავთ, რა ენევათ, თანაც უმეტესად ახალგაზრდებს (რაც განსაკუთრებით გასაზარია) სექსტაკლისაკენ, სადაც არც მოდური (ხშირად — თვითმიზნური) თეატრალური ექსპერიმენტები ელოდებათ, არც ეროტიკული სანახაობა, არც «კომედი მოუს» სიბლუნე და არც «შუა ქალაქს» პურიტანული ოუმორი?

ამ კითხვას გურამ ასათიანის სიტყვებით ვუპასუებ.



დაახლოებით 30 წლის წინათ ის ისევე შემოფოტებულ იყო, როგორც დღეს თამაზ ნატროშვილია, მაგრამ მაინც ცდილობდა, დაეინტეგრირებოდა ყველა უიმედო ფიქრი, გათავისუფლებულიყო «სინანულის ადამრელი შეგნებისაგან, რომ დღეს ჩვენ ყველანი უკვე აღარ ვცხოვრობთ პოეზიით», უნდოდა, შედაეებოდა ყველას, ვინც იტყოდა, რომ «პოეტის სიტყვამ საქართველოში კარგა ხანია დაკარგა ძველი ნონა და ფასი».

იყო უფრო სამიში, პოეზიისათვის უფრო სახიფათო, მშრალი პრაქტიკიზმის უფრო ამკარა დალით აღტყვლილი დროები, მაგრამ ქართული ლექსი, ქართული პოეტის შთაგონება ამ სასწაულის ძალით მაინც ეღვარება? — ნერდა იგი.

რა სასწაულს გულისხმობდა?

«სინამ არტებობს ქართული ენა — თავისი სასწაულ-მოქმედი, იდუმალი არსებით, იგი თვითონ, თავისი ნიალი-დან აღმოაცენებს პოეზიას — მის იდუმალ თრთოლვას, რამეთუ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს».

არ ვიცი, ის დროები უფრო სამიში იყო თუ დღევანდელი, ეს კი ღრმად მნასა და ეტრფიან გადამარმუნებს: საქართველო მთავარი განსაცდლებების გან პოეზიამ იხსნა.

თუთ ზუსტი მენტიონების სიზუსტეც კი მაქვებს, მაგრამ მთელი არსებით მეგერა გალაკტიონის, რომელმაც «მცირეზე მცირე, რიცხობრივად პატარა ერის» გადარჩენა ასე ახსნა:

«აქ პოეზია იყო მისი შემქმნელობა, ანკარა წყარო, მომჩქეფავე იმ ხალხის გულით, მის სასიცოცხლო ძალთა ძალა და საზრდოება...»

ქართული ენა და პოეზია კი რამ გაყო (ისე გურამ ასათიანი): «ის ხალხი, კაცობრიობის ის ძველი მოღვაძე, რომელმაც ეს ენა შექმნა, თავისი მონოდებით პოეტს იყო».

სხვათა შორის: რა აზრიც არ უნდა გვექონდეს 2008 წლის აგვისტოში გამართულ სამთავრობო კონცერტზე, სადაც გურამ საღარაძე ლადო ასათიანის ლექსებს კითხულობდა, თვითონ ამ ფაქტში ერთი რამ უდავოდ იყო გასაზარა: ამა ქვეყნის ძლიერთაც სცოდნიათ პოეზიის (პატრიოტული ლირიკის) ძალა.

მურმან ჯიწრობას დღევანდელ საქართველოში დღეისაგან განსაკუთრებული მისია აქვს დაკისრებული: გადაარჩინოს ჩვენში პოეზია, რათა პოეზიამ გადაგვარინოს ჩვენი.

ჩვენი დროში ის დონე კიბოტისეული სიჯიუტით განაგრძობს ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების კითხ-



ვას, თუშვაც, რასაც ის სცენაზე წარმოადგენს, მხატვრულ კითხვასაც ვეღარ დარქმევ. ეს თამაშია — პოეტური ნაწარმოებს თავისებური სცენური ინტერპრეტაცია, ლექსის „დრამატურგიული“ ქსოვილის ისეთი ოსტატობით წარმოჩენა, როცა სიტყვისაგან შემდგომი ყოველი ნაწილი ლექსისა თავისთავად გამოშხავდება“ (ხორც ლუის ბორხესი).

„ქარი მწყურია მე პირდაპირი“ — ასე უჭეია მონოსექტაკლს, რომელშიც თორმეტი ქართველი პოეტისა და მხოლოდ ერთი პროზაიკოსის ნაწარმოებებია გამოყენებული. ის ერთადერთიც, შეიძლება ითქვას, პოეტია, პროზის პოეტი — გურამ რჩეულიშვილი.

ნაწარმოებები რაიმე ერთი პრინციპით შერჩეული არ არის (თუ არ ჩავთვლით ხარისხს — ყველა მათგანი მაღალმხატვრულია).

ამის გამო არ იკვეთება ერთი კონკრეტული ხაზი (პატრიოტული ან ფილოსოფიური)...

არ ვიცი, ეს ნაკლია თუ არა, იმის ცოდნა კი მსურს, რამდენად ელოდება და ეძებს ერთიან ხაზს მაყურებელი, ამ სპექტაკლზე ასე უხედავ რომ დადის, გაცნობიერებული აქვს თუ არა პოეტის გადამჩინეული ძალა...

თეატრიდან რომ განვიშორდეთ აღნიშნულს, ეს აშკარაა.

იქნებ იმიტომ, რომ მურმან ჯინორია მათთვისაც ირჯება, ვისაც ლექსი ზოგადად მოსწყურებია და მათთვისაც, ვინც პოეზიით ეროვნული წერვის, პატრიოტული გრძნობის გაღვიძებას საჭიროებს.

„ამ სპექტაკლით მიწა ჩვენი მომავალი თოპა, ჩვენი ახალგაზრდობა მივფახლოვო ქართულ გენეტიკურ აზროვნებას“ — წერს იგი პროგრამაში.

ამ მიზნით, კომპოზიციაში შეაქვს ბარათაშვილის „საყურე“ და „მერანი“, ტიციან ტაბიძის „მეარღვნი და პოეტები“ და „მამ გამარჯება“, მურმან ლებანიძის „თოვდა, თოვდა“ და მუხრან მაჭავარიანის „მე მივბაძო სხვასი?“, ხალაფური „ნეტავი, გოგო, შენი ხმა“, ლადო ასათიანის „რუსთაველი პროსპექტზე სიარული“, ჯანსუღ წარკიანის „პატარა ლია, პატარა ჯედი“...

სპექტაკლი იწყება ტერენტე გრანდელი და მთავრდება გალაკტიონით. დასაწყისშიც მთავარ ანათებს და ფინალიც.

რეჟისურაც მსახიობისა, სცენოგრაფიაც და მუსიკალური გაფორმებაც.

მარჯვენა მხარეს პორცეია, მარცხნივ — მთის მწვერვალები. ბოროტ ტერენტე გრანდელს ეკუთვინის, მწვერვალები — გალაკტიონს. სცენის სიღრმეში ბარია, რომელსაც ხან ტიციანის თეთრ დუქანად წარმოვიდგენთ, ხან კი გალაკტიონის რესტორნად, ტიციანი ნაპირები რომ უნდა გაიანთოს.

სპექტაკლის განმავლობაში არავინთებლ გაისმის ტამი, რომლითაც მაყურებელი კონკრეტულ ლექსსაც აჯილდოებს და მის წამ კითხვულსაც.

მსახიობი კი — თამაშით და არა, უბრალოდ, კითხვით — თანდათან მიდის მწვერვალისაკენ, სადაც გალაკტიონის მეფურად უნდა მოკედეს.

არსებობს მოგონება, თუ როგორ გაჰყვა გალაკტიონი „მომანინდის მოეარის“ კითხვის დროს მწერალთა კამპიარის დარბაზშიან თვის ლექსს. მურმან ჯინორიაც ასევე ბუნებრივად მიჰყვება ამ ნაწარმოებს ისე, რომ მინანქრი ფსიქოლოგიური სვლებით იწვიათ დამაჯერებლობასა და ემოციურ მუხტს აღწევს.

ასეთი ფინალი ნებისმიერ დრამატულ ნაწარმოედნას, ტრაგედისაც კი დაამშვენებდა.

ერთ ესეიმი, პოეზიაზე მსჯელობისას, ბორხესი იხსენებს დასაღუპავად განწირულ ფინიკელ მეზღაურთა სამ ლოცვას, კომლინგის მოთხრობაში რომ წაუკითხავს. განსაკუთრებით გამოყოფს მესამეს, რადგან მასში „არ არის ბედთან შერიგება. ესაა თავგანწირული ნაპიჯი ადამიანისა, რომელიც უნდა თავიფიცეს... იგი ამბობს: „ღმერთო, განმსაჯე არა როგორც ჩვეურობა, არამედ როგორც ადამიანმა, რომელიც ზღვა ჩაყლაბა“.

ამ ლოცვაში ბორხესი პოეზიას გრძნობს. ეს ლოცვა სიღრმისეულად ებმინება კომპოზიციაში ჩართულ გურამ რჩეულიშვილის სიტყვებს — თავისი მოკელა მიშმა გადამწყვეტინა და მიშმაც მიხსნა...

მურმან ჯინორიას სპექტაკლშიც არ არის ბედთან შერიგება. აქ ბარათაშვილის მერანის ყიფინაც ისმის:

**თუ აქამედ არ ემონა მას,
არც ან ემონოს შენი მხედარი.**

აქა ილიაც:

**ანწყო თუ არა გწყალობ,
მომავალი შენია.**


და ახლა უკვე ვიცი ის, რაც ერიოლის დასაწყისში არ ვიციდი, ანუ ძალიან მომინდ, როცა „ერთიანი ხაზი“.

რატომღაც მჯერა, რომ მურმან ჯინორია ასეთ სპექტაკლსაც აუცილებლად დადგამს. იმაზე, თუ როგორ ძალუბს პოეზიას ერის გადარჩენა...

ასეთ წარმოდგენას სათაურიც სხვაგვარი მოუხდებია...

P.S.

მონოსექტაკლს თავისებური პოსტკრიპტიკა აქვს. მართალია, ვველაფერს გალაკტიონი ამთავრებს, მაგრამ ხანგრძლივი ტამის შემდეგ, როცა მაყურებელი შინ წასასვლელად ემზადება, მსახიობი მიხილ ქვლივიძის ცნობილი ლექსის კითხვას იწყებს. „ის მაინც ბრუნავს“ — ეს სტრიქონი რეფრენად გასდევს სხვებულ ლექსს. ტრაგიკული ფინალის შემდეგ, მსახიობმა საჭიროად ჩათვალა ასეთი „მინანქრა“. ცხადია, ესეც ბედთან არზერეგებაა და იმის ზაზვასმაც, რომ მურმან ჯინორიამ იცის, რასაც ემსახურება, ანუ ის მაინც... ამრქვის! იბრძვის იმისათვის, რომ თბილისში სტუმრად ჩამოსულმა პაპავასმა (გენბათ, ფრანც ცვილიჩენებულმა) მწერალმა სულ მაღლ კი არა, კვარათლეს მიიღოს უარყოფითი პასუხი შეკითხვავც: „უუვართ თუ არა ქართველებს პოეზია?“





ზურაბ ლაერელაშვილი

ყაზაგები — პლაგიატორი და ეპიგონი?

„ფრთხილად, გენიოსის!“

ალბათ რეგვაზ ინიანიშვილის ეს შეძახილი უფრო მიესადაგება რუბინკოვად გია არგანაშვილის კრიტიკულ ნერილს „ხევისბერი გონა აიძულეს საკუთარი შვილი მოეკლა“ („ჩვენი მწერლობა“, 20, 2010), ვიდრე საფურხანაოს: „როგორ ვეითხოვლობთ კლასიკას“.

იქნებ არც ეს იყოს ურიგო, ოღონდ კითხვის ნიშნით...

რადგან ბატონი ვიას კრიტიკული განხილვა ჩვენი კლასიკოსების პროფანაციის არცთუ ახალი ნიმუშია და სრულად შეესატყვისება ახლებურ ტენდენციას, რომლის ძალითაც კლასიკოსები ისე კი არ უნდა ვეითხოვოთ, როგორც თავად უნერედი და უაზროვნიათ, არამედ, თანამედროვე ინტელექტუალთა ირიბი შექმნა.

მოტივი ამ ტენდენციას, ერთი შეხედვით, ფრიად კეთილშობილურია: კლასიკა მარად ცოცხალია, ყველა დროსა და ეპოქაში აქტუალური, ამიტომაც იქ თანადროულობის პრობლემები და ფასეულობები უნდა ვეითხოვოთ.

სულერთია, რის ფასად, მაგრამ უნდა ვეითხოვოთ...

კრიტიკოსებს სწორედ ეს დაუსახავს მიზან — ყაზაგების „ხევისბერი გონაში“ აღმოიჩინა თანამედროულობის უნათიერე ნიშნები, რაც, მისი აზრით, თხზულებები თემისა და მორალურ გმირის დაპირისპირებით არის მოცემული... და რაც დღემდე არავის შეუნიშნავს — საუკუნეზე მეტი ხომ კრიტიკოსთა და მკითხველთა არაერთი თაობა მწერლის ამ შედეგის იმდენად არასწორად ვეითხოვობდა თურმე, ის სრულებით სანაწილადმდე აზრით შკონებობით დაწერალი, სანამ თანამედროვე კრიტიკა თხზულებაში დაფარულ პრობლემას ფარდას ახდოდა და ნამდვილი სახით წარმოგვიდგინდა...

თავისთავად ცხადია, მკითხველი მოელოდა, ესოდენ კარდინალურად განსხვავებულ თვალსაზრისს დასაბუთების კრიტიკოსმა ტრადიციული გაგების გამტყუნებით ეცდებოდა, მაგრამ ბატონმა გიამ მხოლოდ დუმილით აუარა გვერდი ან საკითხს... ალბათ ყურადღების ღირსად არ სცნო, ან მის დამცველთა ავტორიტეტი ევატარდა...

არადა ტრადიციული გაგების მომხრეთა შორის არცთუ ცნირი მკველვარები არიან. აი, მაგალითად, რას ამბობს ვახტანგ კოტეტიშვილი ზოგადად ყაზაგების მსოფლმხედველობაში მონაწილასა და კონკრეტულად, მოხევეთა თემის შესახებ:

„ყაზაგები იმისთვის მიხტარის მომავალი თემის დამსახურის, რომ აქ ეგულება პიროვნისათვის ძვირფასი პირობა... ის თავისუფლება (!), რომელიც დღესაც საძიებელია ბრწყინვალე კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყნებში“.

ახლო, გვეუბნება მკველვარი, მწერლისთვის მოხევეთა თემი სოციალისტის მიკრომოდელია, სადაც პიროვნება და კოლექტივი პარაზონულიად თანაარსებობენ და სადაც ინდივიდუალური სრული თავისუფლება აქვს, იმდენად სახარბილო, რომ ამის მსგავსაც ვერ დაიკვივრავი დიდ-დიდი და მიწინავე ქვეყნებში...

ბატონი გიკა კი სრულიად სანაწილადმდეგო თვალსაზრისს გვთავაზობს: თემი და კოლექტივი „ხევისბერი გონაში“ იმდენად ამორალური და უზნეოა, ისეთი უსამართლო და

გაუბედავი, თანაც იმდენად პირმოთენ და უპირინციპო, რომ ხევისბერი გონა იძულებულია მოეულებოს მოვლელთა მთავარ ტექსტს ამ უმრავლესობის მაგიერ აბასრულის წართლმასაგულდება და ირინე მოპკლასო...

თემმა აიძულა შვილი მოეკლაო...

მერედა რას ემყარება ეს კატეგორიული დესკენა, კრიტიკოსის ნერილის სათაურადაც რომ გამოუტანია?

მხოლოდ ფანტასტიკურ ვარაუდებსა და ალოგიკურ შეუსაბამებებს, კონტექსტიდან ამოღვეული ციტატებისა და ეპიზოდებზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

კრიტიკოსის საეჭო მტკიცებულებათა თანამიმდევრობაც მოელოდ ასე წარმოგვიდგება: რაკი ტრადიციული გაგება მცდარია (თუმცა ეს საკითხავია, იცნობს თუ არა ბატონი გიკ ამ ტრადიციულ თვალსაზრისს საერთოდ! რომ სცნობოდა, იქნებ ეს საშთირო განხილვაც არ ნამოუნყო!), ამიტომ „ხევისბერი გონაში“ სულ სხვა აზრი უნდა ვეითხოვო, ეს სხვა აზრი კი, ბუნებრივია, ტრადიციულსგან განსხვავებულია; იმდენად განსხვავებული, რომ ტრადიციის დამცველებს აქამდე უყურადღებობისა თუ ზერელეობის გამო ვერ შეუმწევიათ. მწერლის მსოფლმხედველობაც დაყრდნობით კი ტრადიციული შეხედულების გამარჯება თანამედროვე კრიტიკოსის სასურველიც არ არის, რადგან კლასიკის თხზულებებში ყოველთვის თანამედროვე აზრია ფარულად ჩადებული...

თუმცა კრიტიკოსს მინე უცდა საკუთარი ვარაუდის არგუმენტრება მწერლის შემოქმედებითი ნათილების ასევე თავისებური ნდლობით ოღონდ დროისა და ეპოქის კონტექსტიდან მოწყვეტით, როგორც ეს ტრადიციული შეხედულებების უარყოფითა შეფერვბოდა...

კრიტიკოსის თვალსაზრისიც მოელოდ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ყაზაგის შემოქმედება ირგანულ ეპოქის მტკიცებულებებს ბიბლიასთან, იმდენად მჭიდროდ და ახლო ნათესაობას, რომ ზოგჯერ გამოვიჩინო ბიბლიის მიმდებნა ჭირს, თუ სადა იწყება ბიბლიის ციტრება (!) და სადა მწერლის შემოქმედება...

მოთხრობის ნერილსა ყაზაგეი ხშირად სესხებლობს პერსონაჟებს („საკუთარი გარემოს მოწყვეტისო“, გვეუბნება კრიტიკოსი) იმავე ბიბლიიდან ან ზოგადად „ლიტერატუროდან“ და ახალ გარემოში შეუყავს, რათა მათ ექცევათ თუ მოქმედებას დააკვირდეს... საამისოდ ის ხშირად მიზარდავს „სიტუაციის გართულებას“, ანუ სოფეტებისა თუ ფაბულის ისეთიარ დაშინების, რაც პირველწყაროში არ შეინიშნება... ახალ გარემოში სახეცვლილი პერსონაჟები, ხედავით რა ამინარი „ხელოვნურ დაბრკოლებას“, იწყებენ „თითხეული მოქმედებას“ და პირველწყაროს თუ ლიტერატურულ პოტენციალს წენესა და მოწალურ ხასიოს ინარჩუნებენ, რითაც ხშირად ავტორის ალტაცების იმსახურებენ...

თუ კრიტიკოსის გერწმუნებით, ეს მეთოდი ყაზაგებისთვის ზოგადად ყოფილი დაშახასიათებელი და ამწიარადვე აუფია მას „ხევისბერი გონაც“, რაკიდა ეს თხზულება, ბატონი ვიას მტკიცებით, საერთო წენიდან გამოწყლისარ არ არის.



აქაც ბიბლიიდან და ლიტერატურიდან „მოურვეგტია“ მწერალს მისთვის საინტერესო პერსონაჟები და ფოლკლორული ევრასიამი მოუტყვევია, შემდეგ კი ხელოვნურად გაურთულეთა სიუჟეტი, რათა „საკუთარი გარემოდან“ გადმოსახლებაული პერსონაჟები ზღვრულ სიტუაციაში ჩაეყენებინა.

აქვე კრიტიკოსი მიგვანიშნებს, თუ ვინ შეიძლება იყვნენ „ბევისბერი გოჩას“ პერსონაჟების ლიტერატურული პრობლემატიკები... როგორც ირკვევა, თხზულების დრამატული ხაზის განსავითარებლად მწერალს ბიბლიური იოაბისა და აბესალომის ამბავი შეურჩევია და ნინანანარ გამზადებულ ფოლკლორულ ვარიანტში „გადმოუნერგავს“. შემდგომ კი სიუჟეტი მამის მიერ შვილის მოკვლის „შენაღდასაღსარებო ცოდვით“ დაუმძიმებია, რაც ბიბლიაში არ დასტურდება...

მიზანი ამ ეპიზოდის დამატებისა, როგორც უკვე ითქვა, პერსონაჟების დაპირისპირებამდე აქცეა... ყაზბეგის შემხედვლებაც ამ საკითხზე „ბევისბერი გოჩაში“ თურმე ასეთი ანტითეზით ამოიკითხება: მორალური გმირი იძულებულია, რაღაც უღდა უღრდეს, თუნდაც საკუთარი შვილის მკვლელობის ფასად, უბასუსისმებელი და უსამართლო უმარადესობის გასაკეთებელი საქმე იტვირთოს და მართლმსაჯულება აღასრულოს...

როგორც ბიბლიურმა იოაბმა, რომელმაც, დავით მეფის თხოვნის მიუხედავად, მაინც მოკლა მამისა და ძვერის მოღალატე აბესალომი... „ბევისბერი გოჩაში“ ეს მარადელი დაპირისპირება ცნაურდება ბევისბერის საქციელით, როცა მან უსუსური და გაუბეღელი მსაჯულების მიერ შეწყალებული ოსინჯ საკუთარი ბილით მოკლა... თუმცა ამ „შენაღდასაღსარებო ცოდვით“ მთელი სიმძიმე მაინც თუმჯე გადადის, ვინაიდან სწორედ თემის მიერ არჩეულმა „პომონდამ“ (!) აიძულა ბევისბერი, მართლმსაჯულება მარტოს აღსრულებინა...

შესაბამისად, თხზულების დრამატული ღერძიც სწორედ თემისა და პიროვნების ასეთ ზნობრივ დაპირისპირებაზე გადის და არა მამა-შვილის კონფლიქტზე, როგორც აქამდე ტრადიციულ შემხედვლებთა დამცველებს ეგონათ...

აქით უპირისპირო და უზენო საზოგადოება, იქით — მორალურად მტკიცე პიროვნება, რომელიც ყოველგვარ სიტუაციაში (თუნდაც „ხელოვნურად“ მიიმპიევი კი) ინარჩუნებს ღირსებას... კრიტიკოსი არ აზუსტებს, რამდენად „ორგანულია“ (ბიბლიაიდან სახელოვის არ იყოს) ეს თემა მწერლისთვის და აუსახავს თუ არა მას სხვა თხზულებებშიც სხენებული დაპირისპირება, ან თუ აუსახავს, როგორ და რანაირ „ბელოვნურად“ გაურთულებულ სიტუაციაში... იმის დასტურება კი, რომ „ბევისბერი გოჩაში“ მაინცდამაინც ეს დაპირისპირება ასახული და არა სხვა რამ, ის კმაყოფილება მხოლოდ თხზულების ფინალური ეპიზოდის განხილვით, ანუ მამის მიერ შვილის მოკვლის იმ „შენაღდასაღსარებო ცოდვით“, რაც მწერალს ეთოიმ მორალური გმირის ზნობრივ გამარჯვების საჩვენებლად შეუთხზავს... თხზულების მთლიანი და დაწერილებითი ანალიზისაგან მოწყვეტილი კი გასამართლების ეტიოდი თითქოსდა „ბევისბერი გოჩას“ იდუარო

კონცეფციის სარკედ იქცევა... კრიტიკოსის აზრით, სწორედ ამ ეპიზოდში განხილული ვიდეო დრამატული კვანძი თემისა და პიროვნების მორალური დაპირისპირებისა...



ოღონდ ისე, რომ ეს დაპირისპირება მანამდე არსად ჩანს და მოულოდნელად გამოიხატება თხზულების ბოლოს ვერც ყაზბეგის თხზულებით და ვერც კრიტიკოსის წერილით ვერ იპოვიოთ ძუნწი მინიმუმსაც კი, თუ ამგვარი დისპოზიცია საერთოდ არსებობს... მამ საიდან გაჩნდა „ბევისბერი გოჩაში“ მორალური გმირის პრობლემა? ამას ბატონი ვია არ განმარტავს და ჩვენც მხოლოდ მის მოტივაციაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, როცა მან ასეთი თვალსაზრისი შემოგვთავაზა: ესაა სურვილი ჩვენი კლასიკოსის გათანამედროვებისა, მის შემოქმედებაში ე.წ. „პრპოს ფსიქოლოგიის“ დანახვისა, რაც ბატონი ვიას თანამედროვეობის მთავარ ნიშან-თვისებად მიურჩევია...

თუმცა კრიტიკოსი იმდენად როდი წერილმანდება, ამ მოვეცინა ისტორიული კონტექსტი ავეცინას... რამდენად იყო ეს პრობლემა ყაზბეგის დროს აქტუალური და იყო კი საერთოდ? აკი მწერალი „ბელოდისა“ და მონურად მორალის „პომონდამ“ ურთიერთობას ავეცინოს თანაც რომის — მეცრებაზეც საუკუნის ბოლოს... როცა მწერლობა სულ სხვა თემებით იყო ვართული, ყაზბეგს კი, როგორც ჩანს, ეპოქისთვის გაუსწრია და „ბევისბერი გოჩაში“ ჩვენი მისტიკური პრობლემა გამოუსახავს...

მადლობის მეტი კი გვეთქვამს ჩვენი კლასიკოსისთვის, ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაგრამ ვი, რომ ბატონი ვიას თვალსაზრისი უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა...

მას რომ ნინანანარი აკვიტებით არ ნავეკითხა ყაზბეგის ეს შედეგო, იქ სულ სხვა თემებსა და პერსონაჟებს აღმოჩნდა, ვიდრე თეთონ პეონია... კეთილად სურვილი კი უღვეს საფუძვლად მის და თვალსაზრისს — კლასიკა რომ ყველა დროსა და ადგილას აქტუალურია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვარაუდების აპარა დაჩრეწილი მისი მოსაზრებანი ჩრდილს უფრო აყენებს ყაზბეგს, ვიდრე ზრწწყნელებს შპამებს, რაკილა გენიოსი მწერლის ნავეკლად პოლიტიკური პამფლეტის მისხველი და ემივიონი შეკარჩა ხელილი...

აბა ნახეთ: თუკი ბატონი ვიას ლოღვიას ავეცებით, ყაზბეგს ორიგინალური პერსონაჟები კი არ გამოუსახავს, თავისი შედეგებით სულ ნახსებები პერსონაჟებით აუვსავს, რის მიჩქმალვასაც „ბელოვნურად“ დამძიმებულნი რაღაც სიტუაციებით ცდილა (მაგრამ იმდენად უტვრილოდ, რომ ბატონმა ვიამ მაინც ამოიკონია!), მერე ლიტერატურული მისტიკიკაციის საშუალებით უნდოდა თორმე კვალის არევა და ვენდობილი მითითურ ღინჯა ხელუღმისთვის გადაუბრალეხა — იმან მიაპობ მამის მიერ შვილის მოკვლის „შენაღდასაღსარებო ცოდვით“... არადა, როგორც კრიტიკოსი



იონწმუნება, მწერალს ეს თავად შეუთხზავს ნასესხები პერსონაჟის გამოსაცდელად, თუმცა კი პერსონაჟს უცებ „თვითნებური მოქმედება“ დაუსკია და მწერლის გეგმა დინამიკურად შეუცვლია. ყაზბეგს კიდევ სულაც არ სწყნარია ასეთი თვითნებობა და აღტაცებულიც კი დარჩენილა პერსონაჟის დაუმორჩილებლობით...

ვერ გეტყვით, რა იგულისხმება პერსონაჟთა ამ „თვითნებური მოქმედებით“, ალბათ ის, რომ თავიდან მწერალს იოაბის სიმტკიცე ეძვევებოდა, თორემ რატომ გახდებოდა აუცილებელი, უკვე „ბევისბერ გოჩაში“ გადმოსახლებული, „მძიმე სიტუაციიში“ ჩაეყენებინა? იოაბის ზნეობრივმა უფრეგობამ რომ მოხიბლა, ნუთუ არ იცოდა, მისთვის ნინ ცოლშვილი და ნათესაობაც რომ დაეხედდრებინა დასახოვად, ის მაინც სამართალს არ უღალატებდა? იცოდა, მაგრამ მაინც ეეძვებოდა... მერედა, ბიბლიის უამრავ პერსონაჟთანგან მაინცდამაინც ეს იოაბი რატომღა მუარნო? თუ კრიტიკოსის ლოკაით ვინსჯებოდა, მის აბამები მწერალს უზნეო საზოგადოებაში დაპირისპირება უნდა ამოკეთებოდა... მერედა ვინ განასახიერებს ბიბლიაში უპასუხისმგებლად და უპირინციპო „ბომბინებს“? ვინ და დაეთი მუყე, ვის თხოვნი მისუბ-დავადაც იოაბმა მაინც მოკლა ამესალმო...

ბატონი გია არც იოაბისა და მეფე დავითის დაპირისპირებას მიმოიხილავს დეტალურად და მარტო იმის აღნიშვნით კმაყოფილება, რომ იოაბმა სამართლიანობა აღადგინა... რატომ არის აბესალომის მკვლელობა მართლმსაჯულების ზეიმი? ვერც ამას შეიტყობთ კრიტიკოსისაგან, რაკილა არ-გუბუნებოთი საბრძოლ, საზოგადოდ, მას არ სწყევია... მისათვის მითავარი, ასოციაციურად რაღაც თუხის მოგვანოვლის, თვით ის ასოციაციის აბსნა-განმარტება კი რეენ დაგვიტოვოს თავსჯელობა... თუმცა ამგვარი ასოციაციური „გადაბან-ხილვაც“ ვერ გავხსნის იმ დატყბ, თუ სხვა ამოკითხვის იოაბისა და მეფე დავითის ურთიერთობაში მწერალმაც და კრიტიკოსმაც „ზევისბერი გოჩას“ მთავარი კონცეფცია — თემისა და მორალური გმირის დაპირისპირება? თუკი ვიგულისხმებთ, რომ მწერალმა მხოლოდ პერსონაჟს „მონყუტა“ ბიბლიურ გარემოს და „ზევისბერი გოჩას“ უკვე ხსენებულ კონფლიქტში მოაქცია, ხომ უნდა ჰქონოდა იმის გარანტია, რომ გმირი ამ გამოცდებს გაუძლებდა, ანუ ამ მხრივ რაღაცით უნდა გამოიჭინა მანამდე თაკი... ბიბლიაში ის დაეთი მეფეს უპირისპირებდა, რაც ალბათ „ოკოციალურ“ მართლმსაჯულებასთან დაპირისპირებად უნდა მიიღოთ, მაგრამ არის კი ეს ოპოზიციური წყვილი „ზევისბერი გოჩას“ უპასუხაბის წყვილის თემი — ზევისბერის მსავალი? და ასევე, რამდენხად მსავალი ამ დაპირისპირებათა ბასათო?

ვისაც კი ძველ აღთქმაში ჩაუხედავს, დამეთანხმება, რომ იოაბისა და აბესალომის აბამიკი ისე ჰგავს ზევისბერი-სა და ონისას, როგორც ჩინელი ხანგას... ამტკობაც მანინცდამაინც მისი ამორჩევა „ორგანულად“ ახლო ბიბლიური ტექსტთანგან მხოლოდ მწერლის აზროვნების სისუსტეზე მიკვთითობს (თუკი ეს საერთოდ ჰქონდა განზრახული).

საბოლოოდ კი გამოდის, რომ ყაზბეგი ზერეულად, ნაუცბათედაც ნამოპკრავდა ხელს სარეჟიმე ბიბლიურ სიუჟეტს, ბიბლიურ პერსონაჟებს სახელს და სიტუაციას შეუცვლიდა და მოთხრობასაც ასე გამოაცხობდა! არ ვიცო, სხვა რადა უნდა დაბარალო მწერალს მეტი, პლაგიატორისა და ეპიგონის სახელი რომ უფარ მომთორროს: ნასესხიარი პერსონაჟები, ნასესხიარი სიუჟეტები...

ცხოხნებული იონა მენურნარია სხვას კი არას ამწუნათება და ყაზბეგს — პერსონაჟების დაბასათება არ გეტყვება, უსიკოლოგური აღწერას თავს ვერ ართმევო...

თუმცა ბატონი გია ამით არ კმაყოფილება და მწერალს სიუჟეტებსა და დრამატული კენძის გახსნის უფრედრინადც ნაროგადევენს, ვისაც თურმე ეს ებსაღებულ-ლი თემისა და პიროვნების დაპირისპირება მხოლოდ ფინალში, სასამართლოს ეპიზოდში აბსენდება!

ყაზბეგს რომ მართლა თემისა და პიროვნების კონფლიქტის ასახვა მოეწონებინა, ნუთუ ამას თბზულების დაწყებისთანავე არ მიგვანიშნებდა ან რეჟიკით, ან ზევისბერისადმი ოპოზიციური პერსონაჟის შემოყვანით?

მეგრამ საქმეც გვავა, რომ კრიტიკოსი ამ უფერულ, რუს „უმრავლესობას“ უმიზნებს, რათა მოხბევათ თემს „ბრბის დესიკოლოგია“ მიანებოს როგორმე... ამით კი, როგორც აღინიშნა, ყაზბეგე ერთობ „გათანამდრეგებებს“...

ყველაზე დიდი გაუგებრობათება და ვერგებება ყაზბეგის შემოქმედებისა კი სწორედ ამ, არატოტზხის ხსენებულ დაპირისპირებაზედ „ზევისბერი გოჩას“ ნამდვილი კონფლიქტისა და ტრაგიზმის დაფანაა, როცა ჩვენი ქალსიპის უცებ პოლიტიკური პამფლეტის მოხბეველ იქცა... კრიტიკოსი ამითაც უზებურად აკინნებს და ამცრობს ყაზბეგს, რაკი ჰქონია, რომ უმაღლესი მსაჯულის მიერ მოვადეგობის აღსრულება (თუნდაც ამას ნინ მულის სიყვარული ედგას) რაღაც დიდი და გაუგებრობა გმირობაა! (მითუფრეტ, რომ „იურიდილი“ თვალსაზრისით ზევისბერი არც ისე მართალია, მაგრამ უფრნების ფორმითი კარგადეგობის არ გვაძლევს, ამ მხრივაც დავასაბუთოთ სიტუაციის მცდარება!)

ყაზბეგს ამ მისნაირ დიდ მწერლებს რომ მართლაც ამ ენ „ზევისბის გამარჯვებაზე“ ინერტი თავითაი შემედევრენ, ლიტერატურა ალბათ მორალურ ეტიკის მიხედვით გაესტება... რასაკვირველია, დიდი მწერლობა მორალისგან განუყოფელია, მაგრამ ჩვენი ქალსიპის ისე ნარმოადგენა, როგორც ამას ბატონი გია გვთავაზობს, სრულად ენინადაღმდგება ყაზბეგის, როგორც მწერლის, მსოფლმხედველობებსა და შემოქმედებით მანერას.

და მართლაც, რა ვიცით, რომ ის პერსონაჟებს ბიბლიიდან ამ „ლიტერატორიდან“ (თითქმის ბიბლია ლიტერატურა არ იყოს!) სესხებოდა? ეს ხომ მარტო კრიტიკოსის ვარაუდია! ან რატომ არის მისი შემოქმედება ბიბლიისაგან განუყოფელი? ნუთუ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პერსონაჟს „ადაბადებს“ ციტატა აბსენდებამ? ამ ლოკიკით, თუ პერსონაჟი გამრავლების ტაბულას დაიმონმებს, მწერალი მითავარსა მმიდევრად უნდა გამოეცხადებო?

ყაზბეგის, როგორც მწერლის, უფრნობა ჩანს ნასესხები პერსონაჟების გამლა-განვითარებამაც, ასე მგავლობთად, როცა მას ბიბლიიდან აბესალომი „მოუწყვტია“ და „ხევისბერი გოჩაში“ ონისად უქცევია, ამ პერსონაჟის ბიბლიური ნარმომავლობა საქმარისად არ მისჩვენებია და მისთვის „ვევისბერისას“ გმირის „ინტრადიქტივი“ დაუშაბებია... ასე რომ, ონისკ თან აბესალომიც არის და თან ტარიულად, რაკი მსავით „ოხვრან-ქმნდით და დაჭროლის ლომსიკით გამედრებული გმინიით დღის მთა-ბარად“.

აქ უკვე მწერლის კიდევ ერთ შემოქმედებით თავისებურებს მივაგვარებ კრიტიკოსს, თუმცა ისევე „ადაციწყნა“ განემარტება, თუ რა მისთვის ეტაზავა მწერალმა აბესალომის სახე ტარიულიო!... არადა ონისკ მაინც აბესალომია, რადგან



ბუდი იმისი აქვს... ტარიელთან მსჯავსება, ეტყობა, იმიტომ ახსენებდა ბატონ გიას, რომ ირისიც მიყვაროდა, მაგრამ ასე ხომ ყოველი ფოთოლი ფოთოლია და კაცი კიდევ კაცი... ნუ-თუ თვით მიყვარობის ხასიათია და თუნდაც პერსონაზე ამ გრძნობის წვეგაუღეს თავისებურებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს?

საუბარი აღარ არის იმაზე, თუ რანაირად უნდა წარმოვიდგინოთ მეყვარებელი აბესალომი და რით უკავშირდება ერთმანეთს ესოდენ განსხვავებული ორი პერსონაჟი, როგორც ტარიელი და აბესალომი?

თუმცა ბატონ გიას ასეთი „წერილობანი“ არ აცხვენებს, რაკილა მიზნად დაუსაბავს ყაზბეგის თხზულებაში როგორმე ორიგინალური თემა ამოკითხოს... ის ხომ დღევანდელი დადასახელებიდან უპირატეს მის შემოქმედებას და, ვინ იცის, ჩვენი კლასიკოსი პერსონაჟებისადაც ეჩვენება... აკი მსჯელობაც აქეთენ მიჰყავს -- ვითომ ყაზბეგი რომ ინიტრეტესტუდულად სესხაობს პერსონაჟებს, ფოლკლორულად გერმანებს ცვლის, ლაბორატორიულად ამონიშნებს ნასესხებ პერსონაჟებს და შემდეგ, როგორც ავტორი, უწინარდება, რაკილა სათქმელს ამ „თვითმოქმედ პერსონაჟებს“ უტყობს...

აღტაცებულია იმათი მოქმედებით, კიდევ ამ კიდევ გვიმომწებს კრიტიკოსი და მკითხველსაც ამ აღტაცების თანაზიარად ბნის, ესეც შორიდან აღფრთოვანებით შეპყრულს მათ „ნუსისა და რიგის“ დარღვევებულ ქმედებას...

როგორ და რანაირად შეიჭყო ბატონმა გიამ თითქმის საუკუნის წინათ გარდაცვლილი მწერლის ამნაირი აღტაცება, ჩვენივე ეს გამოცემა, ისევე როგორც მკითხველის გარეგან ამ ვითომდა აღფრთოვანებაში, ღამის სუნთქვამკერულნი რომ შევერუბთ ჩვენი კლასიკოსის აზრებისა და მხატვრობის გაუფიქრებლობას...

ვითომ იმას კი გაუარადებოდა ეს ჩვენი აღფრთოვანება, ორიგინალური და თვითმყოფადი მწერლის საბჭოო რომ დავუკარგეთ და ემიგრანად და პლაგიატორად ვაქციეთ?

მაინც აღტაცებით შემოგვეყრება, რაკილა სხვა გზა არ დარჩენია -- ენახოთ ერთი, კიდევ ის იარაღის შიშაპირავენი და როგორ გააუკუღმართებენ ჩემს სახელსო... როგორ გამაინჯენ პროკურატის სარეაქციულზე და როგორ შემკერებენ და შემასწორებენ იმ თავიანთი „ახლებური“ კრიტიკის მკვარატლით...

ფრთხილად, გენიოსია!

RS. ეს მწერლი უკვე რედაქციამში მქონდა მტინანი, როცა გამოქვეყნდა პაატა ჩხეიძის გამოხმაურება „იძულისი?“ („ჩვენი მწერლობა“, №21, 2010), რომელიც, ბატონ გიას მიერ ყაზბეგის შემოქმედების განხილვისას ხსენებულ „ორ სიმართლებასთან“ შედარებით, მართლაც ბევრი სიმართლეა თქმული...

პირველი და უმთავრესი ის, რომ „არსად, არცერთ მოთხრობებას თუ რომანში ყაზბეგი თავის გმირს თემის აუფს არ გააბეჭდებდა“...

მეორე ის, რომ თემისა და პიროვნების დაპირისპირება საბჭოური კლიმატია...

მესამე -- რომ თემი „მოლიზდარი შრომ“ არ არის... სიმართლე ისიც, რომ ხევისბერისწინაირ კაცს კერავინ ვერადფრის აიძულებდა -- პირით, ის ცდილობს მსჯელობის მოახიფოს თავს საკუთარი ვერდიქტი ქვეყნურად, რომ ეურნალის ფორმატი საშუალებას არ იძლევა დანერგვით

განვიხილოთ ყაზბეგის თხზულება და ამიტომაც ბატონი პაატას მოსაზრებას ერთგვარად აესებს ამ ბარეუსს!

მართებულია მინიშნება გრძნობა-მოვალეობის შეჭიდებაზე, რაც ტრაგიკულ ნაშადაც ვასდევს ყაზბეგის შემოქმედებას ზოგადად და „ჩვეისბერ“ კერძოდ...

არის კიდევ რამდენიმე მახვილფორიერული დაეკირებება პერსონაჟებისა და თემის ურთიერთობის თაობაზე, რის შესახებ მსჯელობაც შორს ნავეყვანდა, რადგან ყაზბეგზე საუბარსა და კამათს ერთი და ორი ფურცელი არ ეყოფა.

გენიოსებზე ან ბევრი უნდა ილაპარაკო, ან არაფერი...

მით უფრო ვასაკვირო ბატონი პაატას მოულოდნელი დასკვნა, როცა მან გია არგანაშვილი ილიასეული სკოლის მიმდევრად მიიჩნია...

არადა თვითონვე წერს, თემისა და პიროვნების დაპირისპირება საბჭოური კლიმატია...

მამ როგორდაა კრიტიკოსი ილიას სკოლის მიმდევარი, თუკი თავის მსჯელობას სწორედ ამ საბჭოური თემისზე აეგებს -- თემისა და პიროვნების დაპირისპირებაზე?

თანაც, ერთდროულად ილიას მიმდევარი გამომდგარა და დასაჯელურ „ახალი კრიტიკოსაც“ ვითომ დასაჯელური „ახალი კრიტიკა“ ილიასეულის იგვემობრია?

ახვევ გაუფიქრია, როგორდაა „საგულბისმო“ და ილიასეული ლოგოკით გამართული კრიტიკოსის ის მოსაზრებანი, რასაც თვითონვე აკრიტიკებს და ფაქტობრივად არცერთს არ იზიარებს?!

რაკა გამოიწვევს კრიტიკოსი, რომელიც საბჭოური მეთოდოლოგიური განიხილება ყაზბეგის თხზულებას და თანაც სწორად ვერ იცებს რისტომ ჩხეიძის ნაწერს (იგულისხმება მისი ბიოგრაფიული რომანი „ყაზბეგისა“), მაინც არამარტოსისტეული ყადის მკვლევარი ყოფილა, თანაც ისე, რასაც ბატონი პაატა თანამ ანუ განსხვავებულ აზრად ფუთისს, ცველა სადაყო (და ამასვე უტყობად მედარეა!) გამომდგარა!

ისიც საკითხავია, რა „დასაჯელურ“ მეთოდოლოგიას ეყრდნობა კრიტიკოსი ყაზბეგის შემოქმედებაზე საუბრისას? იქნებ ბატონ პაატას განუმარტა, ამ „ახალი კრიტიკას“ მართლაც რა პრინციპები და თეზისები უდევს საფუძელად, გარდა ლოგოკიური მუსსამობრივობისა და მანდალავი ასოციაციებისა?

როგორც ჩანს, იმდენად დიდია სურვილი, ყაზბეგი მანდალავადამინც „ახლებურად“ ნაეკითხოთ, რომ პანტის ჩირი უკვე თურამაულდავად გადის!

საბჭოური იდეოლოგიზებული კრიტიკას რომ ვებრძვი, ისე ნუ ვთქვამ, ნაპან წყალს ბავეცივ მივაყოლოთ! არ „ახლებური“ ამ „დასაჯელურიც“ უნდა იყოს ჩვენი მოსაზრებანი ლიტერატურაზე, ან თუნდაც ილიას სკოლას გვახსენებავს (ვითომ ეს სკოლა არ შეიძლება ცდებოდეს!), ჩვენი მიზანი სიმართლის დადგენა უნდა იყოს და არა კრიტიკული ნააზრების შეფასება ამა თუ იმ კრიტიკული სკოლისადმი მისი კლიტიკოსის მიხედვით! წყალნი ნავლენ და ნამოულენ, ლიტერატურის კი დაირება... კლასიკოს თაობაზე რაკაც „ახლებური“ თეორიებით მსჯელობის ამოსავალი თვით მწერლის შეზედულეობანი უნდა იყოს და არა ჩვენი ასოციაციება თუ ვარაულები... ეს სენი არ-ახალია და თანამდროვე ადამიანის არცთუ დიდ გამჭირი-ახობას მინიშნებს, რაკილა ვინა ამ ასოციაციებიური ლღვი თამაშით არ იქმნებოდა ვახსულ ნაქუტუტობად თუნდაც ფსიქოლოგიური მოდერნიზანი, აივლენებდა ანტიკურ ტრადიციებს რომ იმინებდნენ და იქ კი მსჯავინ არავერი ენერა?

ახლა მაინც ნუ ვაკუტუტებებთ იმ სიმართლეს, ბატონო პაატა, რადგან ცველაფერი, რაც მოქმედობავს, იქრო არ არის...

კლასიკის გარდა, რაკა თქმა უნდა...

ზურაბ ცინცილაძე

„მას რა პარბო“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- უსასოობა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- სადაც ვცხოვრობ.
- რა არის უმალესი ბედნიერება?

- სიმშვიდე.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- პამლეტი, თარამ ემზვარი.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- ჯრივოლ ხანძთელი, ზვიად გამსახურდია.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?

- დავით კაკაბაძე.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- მოცარტი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

- სამართლიანობას.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- სიმორცხვეს.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

- სამართლიანობა.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- ფურცლობა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყო-ვით?

- არ ვიცნობ ასეთს.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

- სიბილიყე.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

- სხვათა რგებას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- არაპუნქტუალურობა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

- სრული სიმშვიდე.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- მოულოდნელობა.



- როგორი გინდოდათ ყოფილიყო-ვით?
- უანგარო.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- თეთრი-სპექტაკი.
- ყვეელი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

- ია.
- თქვენი საყვარელი ფრწველი?
- შამკი.
- თქვენი საყვარელი მწერალი?

- მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლორთქიფანიძე.
- თქვენი საყვარელი პოეტები?

- გალაკტიონ ტაბიძე.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალბები?

- კლემენტინა, ელიზა დულიტილი.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

- არ მყავს.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

- ცხრა ძმის დედა.
- საყვარელი სახელი?
- თამარი.

- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- უპასუხისმგებლობას.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზილი დაიმსახურა?

- ჯაბა იოსელიანი.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი შეტანაკლები აღტაცებისა?
- ასპინძა.

- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმალეს შეფასებას აძლევთ?
- ინგლისური პარლამენტარიზმი.
- ნიჭი, რომელსაც ვინდათ ფლობდით?

- ენების ფლობა.
- როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყო-ვით?
- ღირსეულად.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

- მშვიდი.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- ყველა.
- თქვენი დევიზი?
- მას რა ვარგო.
- თუკი ოდესმე შეხედებოდათ ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- შენდობა.

სამშაბათს, 17 მაისს
ფურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში მსახიობი

ზურაბ ცინცილაძე
ნაიკითხავს

ოთარ ჩხეიძის
ნოველას

„შავი თუთა“

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41



ნაღვლიანი რეტორი შთაბეჭდივს ფინალით — ასეც შეიძლება დაეახასიათოთ გოგი ჩაველიშვილის ეს პროზაული ოპუსი, რომელიც ნოვლის კომპოზიციური კანონების დაცვით არის დაწერილი. თბრობის ლაბიტოტივი ორმაგი ხაზით არის წარმოდგენილი: აქვეყნა არ არის ისე მონათობილი, როგორც გვინია“ და „რალაც მოხდა“. მარტლაც, რალაც ხდებოდა უცნაურად მონათობილი ქვეყანაში, სადაც, ერთი შეხედვით, არაფერი ხდებოდა და რაც ხდებოდა, საუფლადელოვ გვიმლადავდნენ.

გოგი ჩაველიშვილი კარგად განაზოგადებს პრობლემას — ხედავ, როგორ უცდელი რევიში დეფორმუნოს, გატეხოს, ჩავთროს, და როგორ გინდა წინააღმდეგობა გაუნოო, როგორ გინდა იყო თავისუფალი, როცა აქ, სადაც იმყოფები, თავისუფლება აქვს აღკვეთილი თვით გალაკტიონსაც.

თემა: საბჭოთა სისტემა და მისი მილიციური რევიში, როგორც აბსურდი, რომელსაც ახსნა არ ვაჩნია. საერთოდ, აბსურდს ახსნა არ მოეძებნება, გნებავთ, საბჭოთა-კომუნისტური იყოს და გნებავთ, თანამედროვე — პოსტმოდერნისტულ-ეთიომპურტუაზიული. არც გოგი ჩაველიშვილი ცდილობს აუხსნელის ახსნას, უბრალოდ დაგვანახებს, გვიხატავს ანტიპუტანურ სინამდვილეს, რომლის ავანსცენაზეც ადამიანების ნაცვლად სისხლზე დავგიმილი მანქურთები მოქმედებენ.

მოკვადიებული წრე არ ვახსნილა, არ დამხილა მრუდე ცნობიერება, რომელსაც საბჭოურს კი ვუნდებთ, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ უფრო ზოგადია, უფრო ხანგრძლივმოქმედიია, უფრო აქტუალურია, რადგან „კადმიანურია“ იმ გაგებით, რომ ადამის ფაზიდან არსებობს ქონდრისკაცული ბოღმის კომპლექსი, რომელიც იმ შემთხვევაში იჩენს ხოლმე თავს, როდესაც საზოგადოება თვლავს. ისე, რა უცნაური განცდება, როცა ფერმწერის მოთხოვნას კითხულობ — როცა ხატავს — წერს, როცა წერს — ხატავს.

გოგი ჩაველიშვილი

რალაც მოხდა...

სექტემბრის მშენიერი, მზიანი ამინდი იდგა. მე და რაჭველმა სტუმარმა, ჩემი დედულების თანახმად უფლად, როცა უკუჩნა „პირფას“ ჩაველურეთ, უფსხნიდი, რომ ჩემი მეგობრები, უფსხის ცნობილი ბიჭები, აქ ვხედავდით ერთმანეთს. საპარიკმაზუროდან ცნობისმოყვარე „რია“ კოლა მოშვალბა; მეკრავი საიათაც თავისი დიდი მაკრატლით ვიჭირნის იქიდან ხელს მინევს; მისი შევიერი, ღრქტია ჩარლოკაც, მესალმება. როგორი სიყვარულია ჩვენს უბანში: ყველანი ერთმანეთს პატივს გვცემთ — უფროსები და ახალგაზრდები. მე ცხრაშეტი წლისა ვარ, წელს ჩავიერიცხე თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

მამაჩემის მიერ წინა დღით ბაზრიდან მოტანილი საწოვადგეს ჩემმა დამ კიდევ რალაცები დაუმატა, რამდენიმე ჭიჭა ღვინოსაც შევსეცივით და ტბილ ქუქუქუმი დდეც მიილია.

ვაცილბე ჩემს სტუმარს, ფრთხილად ვეშვებთ მეოთხე სართულდან. სადარბაზოდან გასული არ ვიყავი, ჩემი თანატოლის დედა რომ შემოვიარდა:

— მიშველე, ომარი მიერალია, შინ არ მოგყვებულა! შენ დაგოჯებებს!

მრავალსართულიანი სახლებით შემოჯარული ეზოს შუაგულში ომარის უფროსი ძმა და მეზობელი ბიჭი მთერალს ძლივს იჭერდნენ; ის უაზროდ იტენვდა ხელფერს და ყველას დედას აფინებდა. სამმა კაცმა ძლივს აფართოეთ მესამე სართულზე.

ჩემი რაჭველი სტუმარი ომარის სადარბაზოსთან შედგებოდა.

— კარგი ბიჭია, აი, ის მწვანე „ვოლვა“ მაგისია; გულქეთილია, მაგრამ ცუდი სიმთვრალე იცის, ფხიზელი გადაგყვება თან.

— რას იზამ, ეპატრება, — ჩაიციხა ჩემმა სტუმარმა.

ეზოში „ვოლვა“ შემოკრივლდა, იქიდან სამოქალაქო ტანსაცმლიანი ორი კაცი გადმოვიდა. პირდაპირ მე და ჩემს სტუმარს მოგვადგინენ:

— საქმე გვაქვს, მანქანაში ჩასხედით!

- რა ხდება?
- არაფერი, ყველაფერს აგისხნით.
- სტუმარი მყავს, გავაცილებ... — ეგვეც ნამოვიფეს.
- მე და ჩემი სტუმარი მანქანის უკანა სავარტელში მოვკვლიდით. მანქანა დაიწარა, ნათქვამი არ მჭონდა, სად მივდივარ-მეთქი, საბოროტალის მილიციის რაიონულ განყოფილებას რომ მივადევქით.
- აქ რა მინდა?



გადაცემულბმა უზენადა მომიკდეს ხელი, მე და ჩემი სტუმარი სამორიგვოში შეგაპარანბას. იქ ნითილლოვება, უკისრო მილიციული შემოგვეტება.

— ესენი არიან, ამითი დედა...

მისი მოწინეული მუმტი ავიცილე, ცხვირთან მაინც გამკრა; სამხატვროდ, ცემენტის ხორკლიან კედელს ხორცი შევატოვა. გამწარბებულმა, ნიბლი მომიქნია. ესეც ავიცილე, სამორიგვოს კარს წვივი სთხლიბა. ამაზე სულ გადაიროა. ასეთი დახვედრით დაბნულთ, ხის გადაღობილ „გალიაში“ ამ შევედილი. მეორედ მოქმეული მუმტი ცხვირით რომ მომწვდა, მამონ ამოუტრიალელ მველავერია. ახლა სამმა მანწიყო ცემა. როგორც შემეძლო, ვიცილებდი დარტყმებს, თვითონ მასუბის გაცემბას ვერ ვხედავდი, არადა, სულ ახლოს ვხედავდი მათ გეტებს.

ჩემი სტუმარი „გალიაში“ თავისითი შევიდა, თუმც ერთი მანდურნი მასაც უთავაზეს.

როცა შემოვიდნენ მილიციის თანამდებობის პირი და ორმოცდაათი წლის მამაკაცი, რომელსაც სისხლიანი ცხვირსახოცი სახეზე ჰქონდა აფარებული, მე თავი დამაბნებეს.

— ესენი უნდა დახოცო! — ყვიროდა ნითილლოვება, უკისრო მილიციული.

უფროსმა მათ რალაც უთბრა. ორი გადაცემული დანყმარდა. ჩემით შევედი „გალიაში“.



მორიგე მილიციელს, რომელსაც მკლავზე ნითელი ლენტო ჰქონდა დაკეთებული და ცემა-ტყეპაში მონაწილეობა არ მიიღო, წინ ტურტლიანი, მრავალგზის ვადაფურცლილი, გაცვეთილი ჟურნალი ეგდო, იდგა და ელოდებოდა „კონცერტის“ დამთავრებას.

დიდლოცებამ, თავი მხრებზე რომ ჰქონდა მიხმული და ეპოლეტები ლოყებიდან ეწყებოდა, ხის ტაპურტზე ფეხი შედგა, ნითელზოლიანი შარვლის ტოტი ძლივს აინია; უბალნო, უფორმო, ზოიდივი ფეხზე პატარა განაქანრზე სისხლის კვალი ემჩნეოდა.

— ნახე, რა მიქნა ამ მოუბღალღმა?! — ზენჭით ნაშობიძა; აზაშული შარვილიდან რევოლვერის ტარი მოუჩანდა.

— არ მეგონა, მილიციელებს თუ სისხლი ჰქონდათ... — ჩემთვის ჩაეიბურდელუნე, სიმწრის ცრემლს ვერ ვიკაეებდი. ჩემი სტუდენტისა მრცხვენოდა, ის კუბთეში მორჩილად მიყუწულიყო.

ქვეყანა არ არის ისე მონყობილი, როგორც გავიწი.

რღაც მოხდა...
მორიგეშ დაკითხვა დამინყო.
— პასპორტი!
— სახლში მაქვს.

გაბახსენდა: პირველად 16 წლისამ მივაკითხე მილიციის საპასპორტო განყოფილებას. სახლი რომ დავებრუნდი, იმ ვინოა ქუჩის თავში შეეჩერდი, დღენიდაც ფეხბურთის რომ ვიამამობდი, ქუჩა იყო წყნარი, ცარილი. მერე პატარა ბიჭები გამოქმერნენ უზოებეიდან, ბურთის პატრონის ელოდნენ. ისიც მოვიდა, ბურთი ხელში ეჭირა — ეს-ეს არის სადილის შემდეგ დედას გამოქცევი, ბოლო ლუკმას იღებოდა. არჩევანი-არადანი — სამ-სამად გაიყენენ, წინადილი დანყობილი ქეები, „კარები“, ნაბიჯებით გააკონტროლეს, შუაგულში ბურთი აადგეს, მერე მათი თვილ-ბიელი მიივლეს უბანს მიედი. დანომრილი ნითელი ნიგნაკი შარვლის ფიხეს მინვავდა.

რღაც მოხდა...
— გვარი! არ მოიტყუო, შენთვის უარესი იქნება!
— ჩაგელიშვილი.
— სახელი!
— პასპორტი — აწხორი, ისე — გოგი.
— სად სწავლობ?
— სამხატვრო აკადემიაში.
— ნასამართლევი ხარ?
— არა.
— მისამართი.
— ნითელი პარტიზანების 4, კიდეე რღაცებუი გამოკითხა.
— რაზე დამიჭირეთ?
— ხვალ გაეარკვეეთ.
— ხვალამდე აქ უნდა ვიყურყუტო?
— არ ვიცო.
— სახლში მაინც დამარეკინეთ...
— არ შეიძლება.

ის ორმოცდაათ წელს მიტანებული კაცი, ცხვირზე სისხლიანი ცხვირსახოცი რომ ჰქონდა აფარებული, ისეე შემოვიდა. ჩანდა, ხელოსანი კაცი იყო, დაკოროლი, ნაშრომი ხელებზე სისხლში ჰქონდა ამოთხვრლი. მის დანახვაზე უკისრო ისეე აიჯაგრა:

— მამის ტოლა კაცს როგორ დაარტყით, თქვე ნაძირლებო!

დახარალებულმა სამორიგეო ჟურნალში ხელი მოაწერა, რღაც ნაიბუტბუტა. ის რომ ნაიფა, დანარჩენებიც მიკვენი.

ყველაზე კეთილი მორიგე მომეტენა — სამოც წელს მიტანებული, პირმელი კაცი იყო. მამაშეილურად მომიხდა, ვითარება ამისხა. ჩემი მთვრალი მეზობელი, ომარი, ქუჩაში გაქცეულა, გამეღლებს ემუწერებოდა და ამ სანყალი კაციისთვის სახეში უთხლებია; მერე ის დახარალებული უკან მიპყვა, დანახა, მთვრალი ომარი როგორ ავათრეთი შინ...
— მე რა შუაში ვარ?

— მისი მეგობრები ხართ.
მიგებდ, საუბრის გავრძელებას აზრი არ ჰქონდა, ხვალ გაირკვევა ყველაფერი.

ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა „ჩორნი ვარონა“ — ასე ეყვებოდი პატიმრების გადასყვან დაბურულ, შავ მანქანას. იმათ, ვინც მოგვიყვანეს, ხელი მოგვეკიდეს და მანქანამდე მიგვაცივლეს. ქუჩაში რომ გავედი, გვიანი იყო. კაფე, სადაც წინა დღეს ხაჭაპორის შეეძველო, ისეე იქ იდგა, გამოღლებების სიხალგაო იყო. ახლა ყველაფერი სხვანაირი მომეტქვნა.

რღაც მოხდა...

გაქცევა არც მიცდია, მე და ჩემი სტუშარი ჩავსხედით მანქანას, ბოლომდე მივეყვი საქმის დინებას.
მტკერის საპასპორტო, მონამართი დაჟანგული, უბეში ბეტონის კედლებს შორის, ვინოა კიბეზე ავედი. ოთახში, მაგიდასთან მჯდომ კაცს, რომელსაც გაურკვეველი ფერის მუნდირი ნათხოვარითი ჰქონდა მოხვერა ტანზე მორგებული, გრძელ მკლავებზე ბარაქიანი ტორეზი ნაშოცმოდა, სათიხარად რომ გამოდგებოდა; ცალ მკლავზე ნითელი ლენტო ჰქონდა შეხმული.
— რა გვარი ხარ? — დაიღრიალა.

— ჩაგელიშვილი.
მოსულელი სახე უცბად ბავშვივით გაუხდა.
— სადაური ჩაგელიშვილი ხარ?
— რაჭველი.
— სოფელი.
— ფაშქვა.
— პი-პი-პი... — ჩაიხითხითა. — ბიჭო, ბებია მავადა

ჩაგელიშვილი, ჭიორიდან. სად სწავლობ?
— სამხატვრო აკადემიაში.
— ტიტველ ქალებს მართლა ხატამო?
— კი.

— პი-პი-პი!.. ბიჭო, გულგრილად რღაც უფურებთ?.. ახლა ქამარი შეიხსენი, თუ რამე გაქვს ფიხეში, აქანა დაანყვე, ხვალ ყველაფერს უკან მიიღებ.

მერე, როცა გაიგო, ჩემი სტუშარიც რაჭველი იყო, იქაურობისა ყველაფერი წერილად გამოკითხა.
— ნამითი ახლა, სუფთა ლოგინში დავანევენთ. დილას ქე ნახვალთ სახში. 15-15 მანეთს ვადიხიდი.

— ფული არა მაქვს.
— აგერ შენ სტუშარს ჰქონია 30 მანთი. ხვალ ქე გვიხტუმეფ.
— არა რა მთვრალი, შინ გამოიჭვი, 30 მანეთს ხვალ მოგტან.

— ისეთმა ხალხმა მოიყვანა, მაგის უფლება არ მაქვს. რა დაამავთ ისეთი?

— არაფერი... და ისიც კი არ ვიცი, სად მოგვიყვანეს. — გამოსაფხიზლებელში. შე კაცო, არაფრის გულისთვის აქ კაცი არ მოშავათ.

ლაპარაკის გავრძელება აღარ მიცდა. ეინრო დეურფანი გაიარეთ, მორიგეც ნიხით გაალო რკინის კარი. დაბინდული, მშუტუბი ნათურები ცივად ანათებდა რკინის საწოლებზე გადაფარებულ თეთრ ზენრებს. რალაც გამახსენდა...

მორგი! შესამე-მეოთხეკლასელები რკინიგზის საავადმყოფოში წაგვიყვანეს რენტგენის სურათის გადასაღებად, მშობლები თან გვახლდნენ. ცელები უფროსებს გაეკარეთ და საავადმყოფოში ცნობისმოყვარეობით ვათვლიერებდით ყველაფერს. ქვემოთ ბეტონის კბილებზემეტყველ კიბეზე ჩაივრბინეთ, წინ ღია ლურჯი ფერით შეღებილი რკინის განიერი, ჯშუხი კარი მძიმედ გაიღო. მეორე იყო დიდი ოთახი: კერამიკული ფილებით მოპირკეთებული იატაკი და ბეტონის კედლები. ორ რიგად ჩამწკრივებულ მაგიდის სიმაღლის რკინის საწოლებზე ზენარგადაფარებულ ვილაკებს ეძინათ. არადა, ზამთარი იყო, თათხში სამინდად ციოდა. გაუტეხარი, ცუდი გრძინა და ცნობისმოყვარეობა... ჩვენში ყველაზე გულადამა პირველ საწოლზე მწოლიარეს ზენარი გადასადა. შიშველი, ფეხმოჭრილი კაცი იწვა.

— მკვდრები! — ვილაკამ დაიყვირა. ვერ გაავარკვიეთ, ხმა საიდან მოდიოდა. მერე კიდევ ყვირილი — პირქუშმა დარბაზმა ბანი მისცა. თაქმდმოგლეჯილი კარს ვეცით, დაბნეულებმა ძლივს გადავდით; მეგონა, მკვდრები უკან მოგვედგნენ... კიბეებზე ერთს გული აბრია. რალაც მოხდა. უფროსები რალაცას გვიმალავენ.

იმ წლის ზაფხულში ის ადამიანი გარდაამეცვალა, ვისაც ყველაზე ძალიან ვუსყარდი ამ ქვეყანაზე და ეინც ყველაზე ძალიან მიყვარდა — დედა.

მორიგეც ერთ-ერთ საწოლზე მძიმითთია: — ნაი, იქ დანექი. — ფიხელს ამ ნასვამ ხალხში რა მინდა? — კაცო, გირჩევნია, მოისვენო. შენზე კაი ბიჭები ყოფილან აქ.

— გული მაქვს ცუდად! — აეყვირდი. საიდანღაც ახალგაღვიძებული, გაბრაზებული, ქერა ქალბატონი ტანია გამოჩნდა. გამოსწვია, აუსიო ვ პარიად-ქქ!-ო და წაივიდა.

— ახლა ჭკუით იყვიე, თურა... — დამემურა მორიგე. რა დამაბინებ... რისთვის, რატომ? ისევ მივედი კართან, ავტებზე ბრაგბერუგი.

ჩემ გვერდითი საწოლიდან ვილაც ინტელიგენტური გარეგნობის კაცი წამოვდა.

— კაცო, აქ როგორ მოხვდები? — არაფერი ახსოვდა; გვერდით დამიღდა.

კარგეს იქით ღრიალი გაისმა:

— ახლა გარეგნებთ სივრს! კარი წიხლის კვრით გაალო, მე ცოტა უკან დავიხიე და ხეღში ის ინტელიგენტი შერჩა.

— აა, შენა ხარ?

ქისერში ტორი ჩაველო, ისე ნათარია, როგორც წინილა.

საწოლთან დაებრუნდი. ეველოდებოდი, იმ უბედურ ინტელიგენტს რას უზნამდა.

15-20 წუთი იყო გასული, ინტელიგენტი რომ დარბაზში შემნამადო. საცოდავი სანახავი იყო; თმაგანწილი, წერილი, უმწნეო ფეხებითა და მოჩითული ნიღბითი. ჩემს საწოლთან შეჩერდა, ძლივს ამოღერდა:

— კაცო, ეს რა მიქნე? ცივ შხაპში შემგდეს, თან ეინულის ნატეგები მაყლაპეს...

კბილს კბილზე აცემინებდა. ახლა კი ავეინეთ, შემრცხვა ჩემი საქციელისა; კარს ვეცი და ისედა ბრავუნო ავტებზე, მშინარე ლითები ფეხზე წამოყვარე.

მორიგე ღრიალით წამოვიცა, გინებთი აიკლო იქაურთა.

გული ამჩქარდა, თითქოს

საბრძოლველად გემზადებოდა.

კარს ისეთი ნიხი სთხობოდა, დაბზარული კედლებიდან ნატებები ჩამოცვივდა.

— ეს შენა ხარ, რაჭველო? — დაბოღმილმა წინ გამიხედო. — ნამო, ახლა ბიჭებს დავუძახებ, თოკებით ისე გადავჭიმავთ საწოლზე, როგორც ნადირის ტყაყს! თვლი არ მომხატყენი!

უცებ შედგა ისეთივე ფერის კართან, როგორი მუნდნორიც ეცვა. ნამით თითქოს რალაც ვახსენდნო, კარს წინილა პკრა; ვინო, უფანჯრებო, ჩანბნელებულ ოთახში ერთი საწოლი ძლივს იმართებოდა.

— აი, ამ საწოლზე ვალაკტიონ ტაბიძე იწვა! ნაი, დევცდე, იქნებ მისი მაღლი გადამოვიღოს... იცოდავ, აღარ გამაღვიძო, თორემ ვეღარ გადამოწმები!

მორიგეც ჩემს ცნობისმოყვარე, გაბრწყინებულ სახეს რომ შეხედა, მიხვდა, მისი შემწუხებელი აღარ ვიყიცი...

გალაკტიონის საწოლზე მწვიარი, მე ვინ ვარ? აქ დიდ გალაკტიონის ეძინო...

ისეთი არ ვყოფილა ღამე, როგორც დღე ფიქრობს.

რალაც მოხდა...



შხატარი ვევა პაქსაშული



ნინო ბაკანიძე

ჩემი სულის მანიჭესტი

ალსარება ვიღაცის კარანხით

ძალიან არ მიყვარს წარსულში დაბრუნება. არ მიყვარს იმ ადამიანებისა და მოვლენების გახსენება, რომელთაც ჩემი ანწყობისთვის ფურცელია დაკარგული აქვთ. გარდასული სიხარული, იმედგაცრუება, შეცდომები, წარმატებები, ახლობლების სიყვდილი, აბათია, აღმაფრენა — ყველაფერი, რაც უკვე იყო, მოსწავლის ამოხსნილი თუ ამოუხსნილი ამოცანებით სავსე რეველებს მაგონებს. ეს რეველი იზურება და მათდამი ინტერესიც ქრება. წინ ახალი ამოცანები მელის. მათი ამოხსნა ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე გამუდმებით წარსულში ქეცვა... წინ... წინ... ?!

მე ასევე ძალიან არ მიყვარს მომავალზე ფიქრი. რა მოხდება შემდეგ?! არასოდეს ვისახავ კონკრეტულ მიზნებს, არ მაინტერესებს თანამდებობები, ძალაუფლება, საზოგადოება, არც „მომავლის შიში“ მანუღო.

მე მიყვარს აწმყო. ჩემთვის არსებობს მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელი დღე და ის ადამიანები (პიროვნებები), რომლებიც უშუალოდ მოწინააღმდეგეები არიან ჩემს აწმყოს! ქმნიან იმას და თუ შენც ჩემი აწმყოს თანამონაწილე ხარ, შენი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალურობით, მაღალი სულიერებითა და შინაგანი ძლიერებით, ერთდროულად სათუთიც და დემონურიც, თავდაჭერილიცა და თავამწყებელიც — მაშინ ვისურვებდი, ფაუსტივით აღმოემთქვა: „შეჩერდი წამო, რა მშვენიერი ხარ!“ ოღონდ ეს ფრაზა, ფაუსტისთვის საბედისწერო, ჩემთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი რამაა.

შეჩერებული წამი — ეს გაიწერებელი დროა, დროის რკალი, რომლის ცენტრშიც შენ ხარ მოქცეული. ეს არის მარადიული აწმყო, მარადიული იმდენად, რამდენადაც ჩვენ ეს შეგვიძლია. ეს არის გაიწერებული დრო თავისი შინაგანი მდინარებით, რომელსაც გამუდმებით შევივრძობა, ხოლო თუ არ გვსურს იგი როგორც ფაუსტს, საბედისწერად გვეცეცხვ, უნდა შევეძლოთ მისი გახანგრძლივება — არა უპირისპიეტო მომავალში, არამედ რეალურ აწმყოში. იქნებ მე არც მინდა ამ



მხატვარი მარია ტუქჩიშვილი

ამოცანის ბოლომდე ამოხსნა, არ მინდა ამ მშვენიერი წამის წარსულად ქცევა, მისი დაიწევა, დაკარგვა. არ მინდა შენც იმ ლანდშაფტ ქვეყნის ადამიანთა რიგს მიეთვალა, რომელთაც უბრალოდ აღარ ვისხენებ. ცუდია ეს თუ კარგი, არ ვიცი (ყველაფერი ამას შესაძლოა ეგონებოდ ერეკას), მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემს აწმყოს სჭირდება შინაგანი საყრდენი და დღეს ეს საყრდენი შენ ხარ... შენ, გაიწერებული წამი შიდა მდინარეებში, მუხრებზე მდინარეებში შეჩერებულ აწმყოში.

გეტა, რა არის სიყვარული?! აქამდე ჩემ მიერ ამოხსნილი თუ ამოუხსნელ ამოცანებში ამ კითხვებზე პასუხი ვერ გავუცი და ვერც დღეს გავცემ. ამიტომ არ ღირს წარსულის ქეცვა. თუ იქ სიყვარული იყო, მაშინ პასუხიც მეტოდინებულა და ვერც შენ იქნებოდი ჩემს აწმყოში.

შენ ჩემი აწმყო ხარ და ეს უკვე ბევრი. ეს ბევრი ტკივილი და ბევრი უბოლო ღამეა. კატა-თავ-ვობანას თამაში და დიდი შიში, რომ კატის კლანჭებიდან თავი გასახლტება. თავი ახალ სივრცე გათხრის სივარულში, კატა კი წარსულში დარჩება და ამოხსნილი თუ ამოუხსნელი ამოცანებით აჭრელდება, დამტყუროლი რეველებს შორის დაიფრება შინას. მე ეს არ მინდა. მე არ მიყვარს სივარული, ერთფეროვნება, მონოტონურობა — ეს იგივე სიყვდილია, სიყვდილი არსობაში, არსობა მარადიული მშვენიერი წამის გარეშე, რომელიც აღარაა აწმყო.

მე არ ვიცი, რა არის სიყვარული, მაგრამ ვიცი, რომ მხოლოდ აწმყოში შეჩერების უნაია ბედნიერება და ცხოვრების აზრი. არსებობს მოვალეობები და არსებობს აზრი ცხოვრებისა, რომელსაც დღეს თუ არ შევსხავ ფრთები, მაშინ ყველაფერი სულერთი ყოფილა. არსებობენ ცხოვრების მომები და არსებობენ დიდი მიზნის, დიდი წამის მომები, რაც იგივე ცხოვრებაზე პატივობას, ყოფაზე ამაღლებას ნიშნავს. ცხოვრება მარადიული აწმყო და შენ ჩემი აწმყო ხარ. რა გადაარჩენს მას?! — შინაგანი ენერჯია, შინაგანი სიძლიერე, სულიერება და მხოლოდ სულიერება. მე ეს შემიძლია... შენ?!

მონაღიროსი მოწოდება

რა არის გნება? — წამი ვნებელი? თავდავიწყება? გნების მორევი? რა არის ხორცი? რა არის სული? თორე ერთობას გადაჩვეული? რა არის დღე და რა არის ღამე? თეთრი შვია; შვია — თუთრია, რა არის ღმერთი? რა არის ცოდევა? ღმერთი და ცოდევა — ორე ერთია?! ერთია წამი — წამი დიადი, მასში მურწყულა ყველა და ერთი, ცოდევა ტუბილია, ცოდევა ტანჯუა, ტანჯვა ღმერთია, ტუბილია ღმერთი.



ღმერთი ნამია მარადიული, ადამიანი ნამის მტერია, ვინაჲ ტანჯევა სულის და ხორცის, ადამიანი თავის მტერია, ადამიანი ნამის მტერია, ადამიანი — შენ, მე და სხვები, ადამიანი — რქები და ფრთები, ადამიანი — გული და გონი, ადამიანი — ხრამი და ფონი.

შენ — ჩემი ხატე, მე სხვა არ მინდა, ნამის მხატვარი, ფუნჯე გრძნულ ფერთა ლილიკო, გამა ფუნჯების, შენი ხატის წინ — სულ უფლი, განა ხატია, როცა ხატადან დემონი გიმზერს, შრომა ფუჭია? ეს მე დაგახტე, დიახ, ხატია. ჩემი ხატია, ჩემი ფუნჯია. ეს ფერები ხომ მე შევახატე, მე ჩაგატესე ჩემი ტკივილი, მე გამოვხატე ჩემი არსება, ჩემი მადლია, ჩემი ჩივილი. დიახ, ჩივილი: შეჩერდი ნამო, შეჩერდი ანწყვი, შეჩერდი ახლა; შენ — ეს მე ვარ და მე — ეს შენა ხარ, ორი ერთია და ამ დროს მსახერხალს უყურებს ერთი — ეს დემონია, უყურებს დროის ფუჭ მდინარეებს მარადისობის შეგმონია და არად ავდებს წარსულს და შერბის და არად ავდებს ბოროტების ღმერთს, ორი ერთია, ის მთლიანია, ის ერთ ნამშია დავანებული — ის დემონია და ის ღმერთია, სიყვარულია? ერთადერთია...

